საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარეებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 111 (10197) | ხუთშაბათი, 12 მაისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისათვის

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ახალი სესხის — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1955 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ.

საბჭოთა ადამიანები სახელმწიფო სესხების გამოშვებას ყოველთვის მაღალი შეგნებით და კმაყოფილების გრძნობით ხვდებიან, რადგან კარგად იციან, რომ მათი შრომითი დანაზოგები, რასაც ისინი სახელმწიფოს სესხის სახით ნებაყოფლობით და ერთსულოვნად აძლევენ, ხმარდება სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი ახალ და ახალ ისტორიულ გამარჯვებებს აღწევს სოციალისტური მშენებლობის საქმეში, თანდათან აფართოებს კომუნიზმის მატერიალურ-საწარმოო ბაზას. განუხრელი აღმავლობის გზით მიდის სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგი, შეუნელებლად მაღლდება მშრომელთა კეთილდღეობის დონე. მარტო მძიმე მრეწველობა — მთელი სახალხო მეურნეობისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ააფუძველთა საფუძველი, ახლა თითქმის სამნახევარჯერ მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე ომამდელ 1940 წელს იძლეოდა. საბჭოთა კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1954 წელს წინა წელთან შედარებით 13 პროცენტით, ხოლო 1950 წელთან შედარებით 65 პროცენტით გადიდდა. მძიმე ინდუსტრიის განუხრელი აღმავლობის საფუძველზე ვითარდება და წინ მიდის სოციალისტური სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის მუშაკები წარმატებით უზრუნველყოფენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

მძიმე მრეწველობის შეუნელებელი განვითარება უზრუნველყოფს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის დონის სისტემატურ ამაღლებას, მშრომელთა მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

კომუნიზმის მშენებლობის საქმეში ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტად გრანდიოზული მიღწევები აღაფრთოვანებს პროგრესულ კაცობრიობას, მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირი სამართლიანად მიაჩნიათ მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯად, ხალხთა შორის ძმური თანამშრომლობისა და მჭიდრო ურთიერთობისათვის ბრძოლის მედროშედ.

მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი კმაყოფილების გრძნობით და მოწონებით შეხვდა საბჭოთა მთავრობის დეკლარაციას შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ. ამ ისტორიულ დოკუმენტში მთელი სისრულით არის გამოხატული საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა, სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის ლენინურ პრინციპზე დაფუძნებული.

მთელი მოწინავე კაცობრიობა უდიდესი ყურადღებითა და ინტერესით ადევნებს თვალყურს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების თათბირს, რომელიც გუშინ შეუდგა მუშაობას პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში. ყველა პატიოსანმა ადამიანმა კმაყოფილებისა და მადლიერების გრძნობით მოისმინა ამ თათბირზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის განცხადება, რომელშიც მთელი სისრულით აისახა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის არსი.

ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკა თავის გამოხატულებას პოულობს სახელმწიფო ბიუჯეტში, რომლის სახსრების უდიდესი ნაწილი მშვიდობიან მშენებლობას, სახალხო მეურნეობის განვითარებას, კულტურის შემდგომ აყვავებას, მშრომელთა კეთილდღეობას ხმარდება. ამ თანხებს სახელმწიფო იღებს სოციალისტურ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა დაგროვებიდან, რაც ბიუჯეტის შემოსავლის მყარ ბაზას წარმოადგენს.

ბიუჯეტის შემოსავალში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მოსახლეობის სახსრებს, რაც სახელმწიფო სესხის გავრცელებით შემოდის. მშრომელები ერთსულოვნად აძლევენ სახელმწიფოს სესხად თავიანთ დანაზოგებს, რადგან შეგნებული აქვთ, რომ ამით აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების შესრულებაში, რომ მათი დანაზოგები ეს არის ახალი ფაბრიკა-ქარხნები, ელექტროსადგურები, ზახტები, მტს-ები, სკოლები, თეატრები, კლუბები. ეს არის წვლილი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა მძლავრ აღმავლობას განიცდის, როცა შეუნელებლად ვითარდება სოციალისტური ეკონომიკა და მაღლდება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის დონე, კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო ქვეითდება მშრომელთა ცხოვრების საარსებო დონე, იზრდება უმუშევრობა, ღატაკდება მშრომელი მასები იმ გამალებული შეიარაღებისა და ახალი მსოფლიო ომისათვის მზადების პოლიტიკის მეოხებით, რასაც ახორციელებენ იმპერიალისტური სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობითა და კარნახით.

ახალი სესხი მშვიდობის სესხია. სესხზე ხელმოწერა ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მშრომელთა მაღალი პოლიტიკური აქტივობისა და ერთსულოვნობის ვითარებაში დაიწყო და მიმდინარეობს. იგი კვლავ და კვლავ ცხადყოფს მშრომელთა უსაზღვრო პატრიოტიზმს, მტკიცე ერთიანობასა და მჭიდრო დარაზმულობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად მოაწერენ ხელს ახალ სესხს, საბჭოთა სახელმწიფოს მთელი სულით და გულით მისცემენ თავიანთ შრომით დანაზოგებს, ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ სოციალისტური სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის, საბჭოთა სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

კომუნიკე

ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხთა ევროპის სახელმწიფოების ვარშავის თათბირის 1955 წლის 11 მაისის სხდომის შესახებ

1955 წლის 11 მაისს, დილის 10 საათზე, ვარშავაში, მინისტრთა საბჭოს შენობაში კრაკოვის გარეუბნის ქუჩაზე, გაიხსნა ევროპის სახელმწიფოთა თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ.

თათბირში მონაწილეობენ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციები.

თათბირში მონაწილეობს აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი როგორც მეთვალყურე.

თათბირი მისასალმებელი სიტყვით გახსნა პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა, რომელიც თავმჯდომარეობდა თათბირის პირველ დილის სხდომას.

რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ თათბირი მუშაობას შეუდგა. განცხადებანი გააკეთეს სსრ კავშირის დელეგაციის თავმჯდომარემ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა; ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის თავმჯდომარემ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ვილიამ შიროკიმ; პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა.

თათბირის დღის სხდომას თავმჯდომარეობდა რუმინეთის დელეგაციის თავმჯდომარე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გეორგიუ დეჟი.

ამ სხდომაზე განცხადებანი გააკეთეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარემ პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა და უნგრეთის დელეგაციის თავმჯდომარემ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანდრაშ ხეგედიუშმა.

შემდეგი სხდომა გაიმართება 12 მაისს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1955 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა დაფინანსებისათვის მოსახლეობის სახსრების მოზიდვის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. გამოშვებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1955 წლის გამოშვება) 32 მილიარდი მანეთი თანხისა 20 წლის ვადით.

2. სესხის ობლიგაციები და მათი მოგებანი განთავისუფლდეს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებითა და გამოსაღებებით დაბეგვრისაგან.

3. დამტკიცდეს პირობები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1955 წლის გამოშვება) გამოშვებისა, რომელიც წარმოადგინა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ.

დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1955 წლის გამოშვება) გამოშვების პირობები

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1955 წლის გამოშვება) გამოშვებულია ვადით 1955 წლის 1 ნოემბრიდან 1975 წლის 1 ნოემბრამდე.

2. სესხი განკუთვნილია მხოლოდ მოსახლეობაში გასავრცელებლად. სესხის გავრცელების წესს ადგენს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

3. სესხი იყოფა თანრიგებად — ასასი მილიონი მანეთი ყოველ თანრიგში.

თვითეული თანრიგი შედგება 20.000 სერიისაგან. თვითეული თანრიგის სერიებს აქვთ ნომრები № 180.001 № 200.000-მდე.

თვითეული სერიის ობლიგაციებს აქვთ ნომრები № 01-დან № 50-მდე.

4. სესხის ობლიგაციები გამოდის 500, 200, 100, 50, 25 და 10 მანეთის ღირებულებისა.

500 და 200-მანეთიანი ობლიგაციები შედგებიან შესაბამისად ერთი სერიის ხუთი ან ორი ასმანეთიანი ობლიგაციისაგან ხუთი ან ორი ნომრით და იძლევიან ხუთი ან ორი მოგების უფლებას, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ხვდება ობლიგაციაზე აღნიშნულ თვითეულ ნომერს.

50, 25 და 10-მანეთიანი ობლიგაციები წარმოადგენენ ასმანეთიანი ობლიგაციების ნაწილებს და იძლევიან უფლებას ასმანეთიანი ობლიგაციის კუთვნილი მოგების შესაბამის წილზე (½, ¼, ¹/₁₀).

5. სესხის ობლიგაციების მთელი შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით.

მოგებათა საერთო თანხა საშუალოდ სესხის ოცი წლის განმავლობაში დაწესებულია წელიწადში 2 პროცენტის ანგარიშით.

სესხის ოცი წლის განმავლობაში მოიგებს ყველა ობლიგაციის 25 პროცენტი, ხოლო ობლიგაციების დანარჩენი 75 პროცენტი იფარება მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით.

ობლიგაცია, რომელსაც მოგება ხვდა, იფარება და შემდგომი ტირაჟებიდან გამოირიცხება.

სესხის მოგებანი წესდება 5.000, 1.000, 500 და 200 მანეთის რაოდენობით ასმანეთიან ობლიგაციაზე, ობლიგაციის ნომინალური ღირებულების (ასი მანეთის) ჩათვლით.

6. სესხის ოცი წლის ვადაში გაიმართება მოგებათა 40 ტირაჟი — ორ-ორი ტირაჟი ყოველწლიურად.

მოგებათა ტირაჟები გაიმართება, დაწყებული 1956 წლიდან, იმ ვადებში, რომლებსაც დაიწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

7. მოგებათა ტირაჟებში სესხის ყოველ თანრიგზე, ე. ი. სესხის თვითეულ ასს მილიონ მანეთზე, გათამაშდება მოგებათა შემდეგი რაოდენობა:

ასმანეთიანი ობლიგაციის მოგებათა ოდენობა ობლიგაციის ნომინალური ღირებულების ჩათვლით	გათამაშებულ მოგებათა რაოდენობა	
	ერთ ტირაჟში	სულ 40-სავე ტირაჟში
5.000 მანეთი	3	120
1.000 მანეთი	30	1.200
500 მანეთი	300	12.000
200 მანეთი	5.917	236.680
მოგებათა საერთო რაოდენობა	6.250	250.000
მოგებათა საერთო თანხა (მანეთობით)	1.378.400	55.136.000

8. ობლიგაციები, რომლებსაც მოგება არ ხვდათ, იფარება (გამოიყიდება) მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით 1960 წლის 1 ნოემბრიდან სესხის ვადის დამთავრებამდე დარჩენილი 15 წლის განმავლობაში.

სესხის ყოველ ას მილიონ მანეთზე გამოიყიდება: 1960-1965 წლებში — 1.250.000 მანეთი, 1966-1970 წლებში — 3.000.000, 1971-1975 წლებში — 10.500.000 მანეთი ყოველწლიურად.

სესხის ობლიგაციები, რომლებიც გამოყიდულ უნდა იქნას 1960-1974 წლებში, განისაზღვრება დაფარვის ყოველწლიური ტირაჟებით. დაფარვის ტირაჟების ვადებს აწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

ის ობლიგაციები, რომლებიც დაფარვის ტირაჟებში არ გასულა, გამოიყიდება 1975 წლის 1 ნოემბრიდან.

9. ობლიგაციები, რომლებსაც მოგება ხვდათ, აგრეთვე ობლიგაციები, რომლებიც გამოყიდულ უნდა იქნას მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით, შეიძლება წარადგინონ გასანაღდებლად 1976 წლის 1 ნოემბრამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ობლიგაციები, რომლებიც არ იქნებიან წარდგენილი გასანაღდებლად, კარგავენ ძალას და განაღდებული არ იქნებიან.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. ზვერევი.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად აწერენ ხელს ახალ სახელმწიფო სესხს

★ ★

მეცნიერთა წვლილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1955 წლის გამოშვება) გამოშვებისადმი მიძღვნილ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა გ. ძოწენიძემ.

— ყველამ კარგად ვიცით, — განაცხადა მან, — თუ რა საქმეებს ხმარდებოდა ჩვენ მიერ სახელმწიფოსათვის სესხად მიცემული თანხები. ახლა ჩვენი ქვეყნის წინაშე გრანდიოზული ამოცანებია დასახული. ამ ამოცანების განხორციელებაში ჩვენ, მეცნიერი მუშაკები, მოწინავეთა რიგებში უნდა ვიდგეთ.

აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ნ. კეცხოველმა თქვა:

— სახელმწიფოს სესხად ვაძლევ ჩემს ორი თვის ხელფასს. დარწმუნებული ვარ ჩვენი კოლექტივი ერთსულოვნად მოაწერს ხელს ახალ სესხს, ამით ხელს შევუწყობთ სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

სიტყვები წარმოთქვეს პროფესორმა ა. ბარამიძემ, თ. საკაშვილმა და სხვებმა.

მიტინგის დამთავრების შემდეგ დაიწყო სესხზე ხელმოწერა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა, პროფესორებმა გ. ძოწენიძემ, ნ. კეცხოველმა, ა. ბარამიძემ, გ. გედევანიშვილმა დიდ თანხაზე მოაწერეს ხელი.

სესხად საბჭოთა სახელმწიფოს

სოხუმი. (საკ. კორ.). მშრომელთა დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში დაიწყო აფხაზეთში ახალ სესხზე ხელმოწერა.

საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილ მიტინგებზე გამოსული მშრომელები გამოთქვამენ მზადყოფნას ერთსულოვნად მისცენ სახელმწიფოს თავიანთი შრომითი დანაზოგები.

სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში გამართულ მიტინგზე სიტყვა აიღო მოწინავე ოსტატმა გადამჭიმავმა ა. ივანოვმა. მან თქვა:

— ჩვენმა საწარმომ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა საპირველმაისო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, გეგმის გადამეტებით 6 ათასზე მეტი წყვილი ფეხსაცმელი მისცა სამშობლოს. ჩვენი კოლექტივი მოწინავეა წრომაში, იგი მოწინავე იქნება სესხზე ხელმოწერაშიც.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს ტყავის დამამზადებელი საამქროს უფროსმა შ. ფრანგიშვილმა, მოწინავე მუშამ ნ. ჯალაღონიამ, დამამზადებელი საამქროს ოსტატმა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. მაჭარაძემ და სხვებმა.

სოხუმელმა მეფეხსაცმელეებმა ერთსულოვნად მოაწერეს ხელი ახალ სესხს და ამით თავიანთი წვლილი შეიტანეს საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საქმეში.

— ჩვენი კოლმეურნეების სურვილია, — განაცხადა გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. მელაშვილმა, — კიდევ უფრო მძლავრი და ძლიერი ვიხილოთ ჩვენი საყვარელი სამშობლო. მე ჩემს შრომითს დანაზოგს ვაძლევ სესხად სახელმწიფოს და მოვუწოდებ ყველა კოლმეურნეს ერთსულოვნად მოაწეროს ხელი ახალ სესხს.

კოლმეურნეობაში ხელმოწერა წარმატებით დამთავრდა. კოლმეურნეებმა ხელმოწერის თანხა ნაღდ ფულად შეიტანეს.

ახალი სესხის გამოშვებას აღფრთოვანებით შეხვდნენ აფხაზეთის მშრომელები.

მშვიდობისათვის

საღამოს 5 საათია. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საქვაბე საამქროს ეზოში მოწყობილ სახელდახელო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ახალი სესხის გამოშვებას, თავი მოიყარეს საამქროს მუშა-მოსამსახურეებმა.

სიტყვას იღებს მოწინავე მექვაბე ი. ბაბაევი. იგი ამბობს:

— ყველას კარგად გვესმის ჩვენი სესხების მნიშვნელობა. კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც სახელმწიფო სესხები, როგორც წესი, ახალი ომის მომზადებას, მასობრივი მოსპობის იარაღის შექმნასა და წარმოებას ხმარდება, ჩვენი სახელმწიფო სესხები მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის არის განკუთვნილი.

ტრიბუნაზეა მექვაბე ბ. სოხაძე. მისმა ბრიგადამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში შესანიშნავი შრომითი გამარჯვება მოიპოვა — 294 საათის სამუშაო 44 საათში შეასრულა და დღიური დავალებები 500-550 პროცენტით გაანაღდა.

— დარწმუნებული ვარ, — თქვა მან, — რომ ყველა მექვაბე ერთსულოვნად მოაწერს ხელს სესხს და ამით თავის წვლილს შეიტანს სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს მექვაბე ბ. სუხიაშვილმა, ხარატმა გ. პავლიაშვილმა და სხვებმა.

სტალინის სახელობის ქარხანაში ახალ სესხზე ხელმოწერა მაღალი პატრიოტული აღმავლობით დაიწყო და მიმდინარეობს.

დეპოელთა დანაზოგები

გუშინ, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, თბილისის საორთქლმავლო დეპოს საგამრეცხო საამქროს ვრცელ კორპუსში გამართულ მიტინგზე თავი მოიყარეს დეპოს მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა.

ტრიბუნაზეა წარჩინებული მემანქანე-ინსტრუქტორი ამხ. ნ. გვენეტაძე.

— საბჭოთა სახელმწიფოს სესხები, — თქვა მან, — ჩვენი ხალხის კეთილდღეობის, მშვიდობის, ბედნიერების საქმეს ემსახურება. სულით და გულით მივესალმები ახალი სესხის გამოშვებას, ხელს ვაწერ სესხზე 5 კვირის ხელფასის ოდენობით, პირობას ვიძლევი ვიმუშაო უფრო მეტი თავდადებით ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს საგამრეცხო საამქროს ოსტატმა შ. ხიზანიშვილმა, ზეინკალმა ს. ავრამოვმა, მემანქანე რ. მელექსეტიანმა და სხვებმა.

მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო სესხზე ხელმოწერა, რაც რამდენიმე საათში დამთავრდა.

ახალ სესხს ხელს აწერენ: 1. თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშები. 2. საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ა. ბულგანინის განცხადება

ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხთა ევროპის სახელმწიფოების ვარშავის თათბირზე 1955 წლის 11 მაისს

I.

ამხანაგო თავმჯდომარე! ამხანაგო დელეგატებო!

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის უცვლელი პრინციპია სხვადასხვა საზოგადოებრივ სისტემათა თანაარსებობის ლენინური პრინციპი. საბჭოთა მთავრობა იცავს ამ პრინციპს იმისათვის, რომ იხსნას კაცობრიობა ომის საშინელებათა და უბედურებათაგან, უზრუნველყოს ხალხებისათვის მშვიდობა და მყუდროება. საბჭოთა კავშირი აქტიურ ბრძოლას ეწევა მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის და მიესალმება სხვა ქვეყნების მთავრობათა ყოველ ნაბიჯს ამ მიმართულებით.

ამიტომ საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ თათბირს, რომელმაც უნდა განიხილოს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

გასული წლის დამლევს ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირზე აქ წარმოდგენილ სახელმწიფოთა მთავრობები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა კვლავ განიხილონ მდგომარეობა იმ შემთხვევაში, თუ პარიზის შეთანხმებანი რატიფიცირებული იქნება.

ახლა ასეთი საჭიროება წარმოიშვა. პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია ფაქტი გახდა. ამან სერიოზული ცვლილებები შეიტანა მთელ საერთაშორისო ვითარებაში და ახალი ამოცანები დაუსახა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს.

მოსკოვის თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში, აგრეთვე დეკლარაციაში, რომელიც მათ მიიღეს, მოცემულია პარიზის შეთანხმებათა ყოველმხრივი ანალიზი და ნაჩვენებია, თუ რა საფრთხე მოაქვს ამ შეთანხმებებს ევროპის მშვიდობის საქმისათვის. შემდეგ მომხდარმა მოვლენებმა დაადასტურეს ამ ანალიზის სისწორე.

ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ ფაქტს, რომ პარიზის შეთანხმებანი რატიფიცირებულია და ძალაში შედიან. ამ რატიფიკაციის შედეგად დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებმა და რევანშისტებმა შესაძლებლობა მიიღეს აშკარად შეუდგნენ კადრის არმიის შექმნას და მოამარაგონ იგი ყველა სახეობის თანამედროვე იარაღით, მათ შორის ატომური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღით. დასავლეთი გერმანია ხდება პლაცდარმი დიდი აგრესიული ძალების გასაშლელად. გამალებით შენდება აეროდრომები, პოლიგონები, ყაზარმები, სამხედრო საწყობები. მუშავდება ღონისძიებანი, რათა დასავლეთ-გერმანელმა მილიტარისტებმა გამოიყენონ ატომური იარაღი. მზადდება ამერიკული იარაღის მასობრივი მიწოდება დასავლეთ გერმანიაში და ამასთან ძლიერდება დასავლეთ გერმანიის მრეწველობის მილიტარიზაცია.

ამრიგად, პარიზის შეთანხმებანი გუშინდელ აგრესორებსა და ოკუპანტებს ხელში აძლევენ ახალი აგრესიის, ახალი ჩაგვრის საშუალებებს. გერმანული მილიტარიზმი, რომელმაც ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე ორი მსოფლიო ომი გააჩაღა, კვლავ გამოდის ევროპასა და საერთაშორისო ასპარეზზე და საფრთხეს უქმნის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების ათი წლის შემდეგ დასავლეთი გერმანია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით ხდება ომის საფრთხის მთავარი კერა ევროპაში. იგი ხდება წევრი აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკისა, აგრეთვე დასავლეთ ევროპის სამხედრო კავშირისა, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

უნდა გავიხსენოთ, რომ დასავლეთგერმანელ მილიტარისტებთან და რევანშისტებთან სამხედრო ბლოკში ინგლისი და საფრანგეთი შევიდნენ იმ ვალდებულებათა წინააღმდეგ, რომლებიც მათ იკისრეს ხელშეკრულებებით საბჭოთა კავშირთან, რომლებიც მათ დადეს მეორე მსოფლიო ომის წლებში და რომლებიც მიმართულია გერმანიის მილიტარიზმის აგრესიის წინააღმდეგ. ამით ინგლისმა და საფრანგეთმა ფაქტიურად უარი თქვეს ამ დიდმნიშვნელოვან ხელშეკრულებებზე. ამის გამო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 7 მაისს მიიღო ბრძანებულება ამ ხელშეკრულებათა გაუქმების შესახებ.

ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს სესიამ, რომელიც გაიმართა გასული წლის დეკემბრის მეორე ნახევარში, უკვე მოსკოვის თათბირის შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება ატომური ომის მომზადების შესახებ. ამასაც პირდაპირი კავშირი აქვს პარიზის შეთანხმებებთან და ერთხელ კიდევ ადასტურებს მათს საშიშ ხასიათს ევროპის მშვიდობის საქმისათვის.

აგრესიული ძალების აქტივიზაცია მარტო ევროპაში როდი ხდება. ცნობილია, რომ ახლა ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ახლო და შუა აღმოსავლეთის მთელ რიგ სახელმწიფოებზე, რათა აიძულონ ისინი შეუერთდნენ სამხედრო ბლოკებს, რომლებიც იქმნება როგორც აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის დანამატი. ზეგავლენას ახდენენ სირიაზე, ეგვიპტესა და არაბთა სხვა ქვეყნებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ავღანეთზე. ცდილობენ აგრესიულ ბლოკში ჩააბან ირანი, თუმცა საბჭოთა კავშირ-ირანის 1927 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულებით გარანტიისა და ნეიტრალიტეტის შესახებ ირანმა ვალდებულება იკისრა არ მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ კავშირებში ან შეთანხმებებში, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სამხედრო დაჯგუფებათა შექმნასთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ ღონისძიებებს თავიანთი სამხედრო ბაზების ქსელის გასაფართოებლად განსაკუთრებით საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საზღვრების ახლოს. საიდუმლოდ არ ხდიან იმ ფაქტს, რომ ამ ბაზებიდან გეგმავენ საჰაერო თავდასხმას ჩვენს ქვეყანასა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებზე.

შორეულ აღმოსავლეთში, ტაივანის რაიონში, გრძელდება პროვოკაციები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. სავსებით ნათელია, რომ კუნძულ ტაივანზე თავშეფარებული ჩანკაიშელები ვერასოდეს ვერ გაბედავდნენ თავიანთ ავანტიურ მოქმედებას, მათ რომ მხარს არ უჭერდეს ძლიერი მფარველი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახით, რომელმაც თავის სამსახურში აიყვანა ჩინეთიდან გაძევებული ჩანკაი-შის ხროვა.

ტაივანი, პენხულედაო და სანაპირო კუნძულები სამხედრო ბაზებად გადაქცეს, საიდანაც შეერთებული შტატების კონტროლს დაქვემდებარებული შეიარაღებული ძალები აწყობენ არაპროვოცირებულ თავდასხმებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე, აგრეთვე მეკობრულ თავდასხმებს აწყობენ სავაჭრო გემებზე ღია ზღვაში.

ოფიციალური პირები ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთ პოლიტიკას უწოდებენ „თავდაცვას კომუნისტური აგრესიისაგან“, თუმცა მთელმა მსოფლიომ იცის, რომ არა სხვამ ვინმემ, არამედ სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიტაცეს და ოკუპირებული აქვთ ჩინეთის ოდინდელი მიწა-წყალი — კუნძული ტაივანი, ხოლო ამერიკელი გენერლები და ადმირალები ცდილობენ გააჩაღონ დიდი ომი და გამოიყენონ ატომური იარაღი.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეიქმნა სამხედრო ბლოკი, რომელიც ცნობილია სეატოს სახელწოდებით და რომელიც წარმოადგენს დასავლეთის კოლონიურ სახელმწიფოთა და მათზე დამოკიდებულ აზიის ზოგიერთ სახელმწიფოს გაერთიანებას. ეს ბლოკი მიზნად ისახავს კოლონიური რეჟიმის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და აზიის სხვა ქვეყნების საქმეებში ჩარევას. საკვირველი როდია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორიც არიან ინდოეთი, ბირმა და ინდონეზია, რომელნიც პატივს სცემენ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, გადაჭრით განაცხადეს უარი შეერთებოდნენ კოლონიზატორთა აგრესიულ და რეაქციულ ბლოკს.

ნათქვამიდან ჩანს, რომ დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინებას თან ახლავს აგრესიული ძალების აქტივობის გაძლიერება მთელ მსოფლიოში. ამასთან დასავლეთ გერმანიის ვერმახტს აკუთვნებენ დამკვრელი ძალის განსაკუთრებულ როლს.

II.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად აწარმოებს ბრძოლას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. საბჭოთა კავშირის მთავრობას იმედი აქვს, რომ ამ პოლიტიკაში მას მხარს დაუჭერენ და თანამშრომლობას გაუწევენ ამ თათბირზე წარმოდგენილი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები. იგი აგრეთვე დარწმუნებულია, რომ მის პოლიტიკას მხარს დაუჭერენ მშვიდობისმოყვარე ძალები სხვა ქვეყნებშიც. ჩვენს რწმენას ის უდევს საფუძვლად, რომ ყველა ხალხს სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ მშვიდობის შენარჩუნებას და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

დასავლეთ ევროპის ხალხთა ბრძოლამ პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ ცხადყო, თუ რა დიდი ძალები უჭერენ მხარს მშვიდობას იმ ქვეყნებში, რომელთა მიზანი განვითარება და საგარეო პოლიტიკა სურთ ახლა მთლიანად დაუმორჩილონ ახალი ომის მომზადების საქმეს. დასავლეთ ევროპის ქვეყნების პროგრესული ძალებისა და ხალხთა მასების წინააღმდეგობამ დიდი ხნით დააყოვნა დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღდგენის გეგმების განხორციელება. ხალხთა მასებს შეგნებული აქვთ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენისა და ევროპაში ახალი ომის მომზადების პოლიტიკის მთელი საშიშროება.

საბჭოთა კავშირი იყო და ახლაც არის დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის მტკიცე და თანმიმდევრული მოწინააღმდეგე. ვიბრძოდით რა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ, ჩვენ მიგვაჩნდა, ისევე როგორც ახლა მიგვაჩნია, რომ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი შეყვანა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შემადგენლობაში ის ძირითადი მიზეზია, რომელიც აბრკოლებს გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენას მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე. ამასთან ჩვენ წინათაც და ახლაც მხარს ვუჭერთ ერთიანი გერმანიის, როგორც თავისუფალი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენას. საბჭოთა კავშირის პოლიტიკა გერმანიის საკითხში კვლავაც დაფუძნებული იქნება ამ ძირითად დებულებებზე.

ამის შესაბამისად საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა არ დავუშვათ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა და ვაწარმოოთ ფართო, ყოველმხრივი ბრძოლა პარიზის შეთანხმებათა განხორციელების წინააღმდეგ. საჭიროა ახალ პირობებშიც ვიბრძოლოთ გერმანიის ეროვნული ერთიანობისათვის. ამ ამოცანების განხორციელებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ, უწინარეს ყოვლისა, თვით გერმანელი ხალხის პატრიოტულმა ძალებმა, რომლებიც ისწრაფვიან არ დაუშვან დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია.

გერმანიის გაერთიანების საქმეში, აგრეთვე ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიძლება გახდეს აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის დაახლოება, მათ ურთიერთობაში არსებული დაძაბულობის შენელება. უეჭველია, რომ გერმანიის ორივე ნაწილის შეთანხმებული მოქმედება გაერთიანებული, თავისუფალი და დემოკრატიული გერმანიის შესაქმნელად არა მარტო საჭირო, არამედ სავსებით შესაძლებელი საქმეც არის, რადგან იგი შეესაბამება მთელი გერმანელი ხალხის ინტერესებს.

რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ გერმანიის საკითხის მოწესრიგების საქმეში პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციამ შექმნა ახალი ვითარება, რომელიც საერთოდ არახელსაყრელია გერმანელი ხალხისათვის.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობას თავის წინანდელ განცხადებებში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საჭიროა გერმანიის ეროვნული გაერთიანების საკითხი გადაწყდეს ოთხ დიდ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების გზით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ გერმანიის ორივე ნაწილის წარმომადგენლები. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს ნამდვილად რომ დაესახათ ამოცანად გერმანიის გაერთიანება და არა ცდილობენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და თავიანთ აგრესიულ დაჯგუფებებში მის შეყვანას, რასაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოჰყვეს გერმანიის გათიშვის გაღრმავება, ეჭვი არ არის, რომ მოლაპარაკება, რომლის შესახებ წინადადება წამოაყენა საბჭოთა კავშირმა, დადებით შედეგს მოიტანდა. მაგრამ დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობები სხვა გზას დაადგნენ. დაამტკიცეს რა პარიზის შეთანხმებანი, მათ ცხადყვეს, რომ არა სურთ ანგარიში გაუწიონ გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, აგრეთვე ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს.

ამრიგად, საბჭოთა მთავრობა მზად არის კვლავაც ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი გერმანიის ერთიანობის აღდგენას და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას მისაღებ საფუძველზე.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს იმ სახელმწიფოებსა და ძალებს, რომლებიც გამოიჩენენ დაინტერესებას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების დაცვითა და განმტკიცებით.

ამ გზს შეესაბამება საბჭოთა მთავრობის პოზიცია ავსტრიის საკითხში. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ნეიტრალური ავსტრიის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის სრული აღდგენა მნიშვნელოვანი წვლილია ევროპის მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ის ფაქტი, რომ ავსტრიაში გამოჩდნენ საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც გადაჭრით დაადგნენ ამ გზას, მოწმობს იმას, რომ არსებობს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განვითარების დიდი შესაძლებლობანი, მიუხედავად ამ სახელმწიფოთა საზოგადოებრივი წყობილებისა.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ მარტო ავსტრიის მთავრობა ადგას ასეთ პოზიციას. როგორც ევროპაში, ისე აზიაშიც არის არა ერთი სახელმწიფო, რომლებსაც არა სურთ შეუერთდნენ აგრესიულ სამხედრო ბლოკებს. ასეთი სახელმწიფოების მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს საბჭოთა კავშირი ყოველთვის სრული თანაგრძნობითა და მხარდაჭერით შეხვდება.

საბჭოთა მთავრობამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან თანხმობით ამ ბოლო დროს მიიღო ღონისძიებანი, რათა მიეღწია დაძაბულობის შენელებისათვის ტაივანის რაიონში, და ამ მიზნით მოლაპარაკება მოაწყო ინგლისისა და ინდოეთის მთავრობებთან.

საბჭოთა მთავრობამ შეიტანა წინადადება, რომ იმ ქვეყნებმა, რომლებიც განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ტაივანისა და ჩინეთის სხვა კუნძულების რაიონში შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგებით, განიხილონ ეს საკითხი შესაბამის კონფერენციაზე, რომელშიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად მონაწილეობას მიიღებდნენ ინგლისი, საბჭოთა კავშირი, საფრანგეთი, ინდოეთი, ბირმა, ინდონეზია, პაკისტანი და ცეილონი. კონფერენცია არ გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგობის გამო, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ მასში მონაწილეობა მიეღო ჩანკაიშელთა ხროვას, თუმცა იგი არავისი წარმომადგენელი არ არის, გარდა თავისი თავისა.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ, თავის მხრივ, საკუთარი დაუჭირა მხარი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოზიციას ტაივანის საკითხში და იმ ღონისძიებებს, რომლებსაც სახალხო ჩინეთი ახორციელებს მშვიდობის განსამტკიცებლად ამ რაიონში.

ახლო და შუა აღმოსავლეთში ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ თავის ამასწინანდელ განცხადებაში ამ რაიონის უშიშროების შესახებ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია გულგრილად მოეკიდოს იქ შექმნილ მდგომარეობას. საბჭოთა კავშირის მთავრობამ განაცხადა, რომ თუ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ გაგრძელდება ზეგავლენისა და მუქარის პოლიტიკა, ეს საკითხი უნდა განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.

საბჭოთა მთავრობა მტკიცედ დარწმუნებულია, რომ თუ სახელმწიფოები, რომლებსაც თავარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშვიდობის შენარჩუნებისათვის, გამოიჩენენ კეთილ ნებას, შესაძლებელი იქნება მოწესრიგდეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები, რომლებიც ამჟამად აბრკოლებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს ბევრჯერ განუცხადებიათ, რომ ისინი მხარს უჭერენ ქვეყნების ურთიერთობაში ნორმალური ვითარების შექმნას, შეხვედრებს, ვაჭრობის ყოველი ღონისძიებით განვითარებას, კულტურული დელეგაციების ურთიერთგაცვლას, ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რასაც ვითარების დაძაბულობის შენელება ეწოდება. მაგრამ ამ საქმეებში ყველაფერი ჩვენზე როდია დამოკიდებული. ისეთი უბრალო საკითხიც კი, როგორიც არის სტუდენტთა დელეგაციების გაცვლა, დადებითად ვერ გადაწყდა. ჩვენ წინადადებით მივმართეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს გაგვეცვალა სტუდენტთა დელეგაციები. მაგრამ პასუხად განგვიცხადეს, საჭიროა თითების ანაბეჭდებიო. იმისათვის, რომ შენელდეს დაძაბულობა ქვეყნების ურთიერთობაში და შესაძლებელი იყოს დადებითად გადაიჭრას ესა თუ ის კონკრეტული საკითხი, საჭიროა შეიქმნას ნდობაზე და ურთიერთგაგებაზე დამყარებული კარგი ვითარება.

ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და საფრანგეთში, როგორც ეს პრესიდან ჩანს, ბევრს ლაპარაკობენ და წერენ იმის შესახებ, რომ საჭიროა დიდი სახელმწიფოების თათბირი ყველაზე მაღალ დონეზე. ეს შემთხვევითი როდია. ასეთი თათბირის იდეამ ღრმა ფესვები გაიდგა ხალხთა მასებში, რომლებიც ამ თათბირზე დიდ იმედებს ამყარებენ, მიაჩნიათ რა, რომ თათბირი ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესებას. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ასეთი განწყობილება.

საბჭოთა მთავრობა დადებითად ეკიდება დიდი სახელმწიფოების თათბირის იდეას. რა თქმა უნდა, ასეთი თათბირის მოწვევა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ იგი ნამდვილად შეუწყობს ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებას.

გუშინ, 10 მაისს, საბჭოთა მთავრობამ მიიღო ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან, აგრეთვე საფრანგეთისა და ინგლისისაგან. ნოტაში არის წინადადება, რომ მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირი საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით. საბჭოთა მთავრობა გულდასმით შეისწავლის ამ ნოტას.

III.

განუხრელად ესწრაფვის რა მშვიდობის განმტკიცებას და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, საბჭოთა კავშირის მთავრობა კვლავ ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მიაღწიოს შეთანხმებას ატომური იარაღის აკრძალვის, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ.

დღეს პრესაში გამოქვეყნებულია საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადებანი ამ საკითხებზე.

საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებებს, რომლებიც შეტანილია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის განსახილველად, დიდი მნიშვნელობა აქვს და დიდი წვლილია მშვიდობის საქმეში. ამ წინადადებებს მივყავართ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ და ისინი ქმნიან პირობებს სახელმწიფოთა შორის საჭირო ნდობისა და ურთიერთგაგების დასამყარებლად.

დეკლარაციაში, რომელიც საბჭოთა კავშირს შემოაქვს, ნათქვამია, რომ ხალხები, რომლებმაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ განიცადეს მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც ადამიანთა მძიმე მსხვერპლი და უდიდესი მატერიალური ნგრევა გამოიწვია, იჩენენ, ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, შეუდრეკელ მისწრაფებას მშვიდობისადმი. მშვიდობისადმი ხალხთა ეს დიდი მისწრაფება იძლევა თავის შედეგებს. მაგრამ მსოფლიოს ზოგიერთ რაიონში ამჟამად ვითარება მაინც არათუ არ უმჯობესდება, არამედ, პირიქით, რთულდება, ხოლო სახელმწიფოთა შორის ურთიერთუნდობლობა ძლიერდება.

„სახელმწიფოების ურთიერთობაში საჭირო ნდობის უქონლობა, — ნათქვამია დეკლარაციაში. — მთავარი მიზეზია, რომელიც ხელს უშლის გადაუჭრელი პრობლემების მოწესრიგებას როგორც ევროპაში, ისე აზიაში.

ეს ეხება უწინარეს ყოვლისა დიდი სახელმწიფოების ურთიერთობას, რომლებსაც ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დაცვისათვის“.

დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობაში უნდობლობას მოჰყვა ის, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ წარმოიშვა საფრთხე ახალი ომისა, რომელიც თავისი შედეგებით კიდევ უფრო მძიმე იქნება. სულ უფრო დიდი მასშტაბით წარმოებს გამალებული შეიარაღება, განუწყვეტლივ ხორციელდება არმიების, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ავიაციის სრულყოფა. მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლესი მიღწევები ხმარდება ადამიანთა ჟლეტის ყველაზე დამანგრეველ საშუალებათა წარმოებას. განსაკუთრებით დიდი მასშტაბი მიიღო გამალებულმა შეიარაღებამ ისეთ საშიშ სახეობათა იარაღის წარმოების დარგში, როგორიც არის ატომური და წყალბადის იარაღი. იქმნება უცხოეთის ბევრი სამხედრო ბაზა სხვის ტერიტორიაზე, რაც იწვევს იმ სახელმწიფოების კანონიერ შიშს, რომელთა წინააღმდეგ მიმართულია ეს ბაზები. ასეთი ბაზების შექმნა აძლიერებს აგრეთვე საფრთხეს იმ სახელმწიფოთა უშიშროებისათვის, რომელთა ტერიტორიებზეც მათ ქმნიან.

მრავალი წლის მანძილზე მსოფლიო იმყოფება „ცივი ომის“ მდგომარეობაში, ხოლო სახელმწიფოების საომარი მზადება სულ უფრო მძიმე ტვირთად აწვება ხალხებს. მთელ რიგ სახელმწიფოებში წარმოებს ახალი ომის აშკარა პროპაგანდა. პრესაში, რადიოში, საჯარო გამოსვლებში სულ უფრო ხშირდება ომისათვის მოწოდება, ამასთან ატომური ომისათვის მოწოდება. დარღვეულია ბევრ სახელმწიფოს შორის წინათ არსებული ტრადიციული ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იქმნებოდა.

საჭირო არ არის დამამტკიცებელი საბუთები, რომ შექმნილი საერთაშორისო ურთიერთობა სრულიად არანორმალურად ვალიაროთ. საჭიროა რადიკალური ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობაში საჭირო ელემენტარული ნდობის შექმნისათვის, ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და ხალხთა მშვიდობიანი და უშფოთველი ცხოვრების პირობების შექმნისათვის.

როგორ მივაღწიოთ ამას? უწინარეს ყოვლისა საჭიროა ბოლო მოეღოს „ცივ ომს“. საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ გენერალურმა ასამბლეამ უნდა ურჩიოს ყველა სახელმწიფოს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რათა მტკიცედ შესრულდეს მისი გადაწყვეტილება, რომელიც ბმობს ახალი ომის პროპაგანდის ყოველ ფორმას, შეწყდეს ომისათვის და ხალხთა შორის მტრობის გაღვივებისათვის ყოველგვარი მოწოდება პრესაში, რადიოში, კინოში, საჯარო გამოსვლებში. ამ რეკომენდაციის შეუსრულებლობა მიჩნეულ უნდა იქნას სახელმწიფოს მიერ თავისი საერთაშორისო მოვალეობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე თავის ვალდებულებათა დარღვევად.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და სახელმწიფოებს შორის საჭირო ნდობის შექმნას ხელს შეუწყობს ის, რომ საბჭოთა კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა დაუყოვნებლივ გაიყვანონ თავიანთი საოკუპაციო ჯარები გერმანიის ტერიტორიიდან, გარდა იმ ჯარების მტკიცედ განსაზღვრული კონტინგენტებისა, რომლებიც დრონებით დარჩებიან გერმანიის ტერიტორიაზე, სანამ დაიდებოდეს შეთანხმება მათი სრული გაყვანის შესახებ.

საბჭოთა კავშირის აზრით, სახელმწიფოებმა, რომლებიც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან, უნდა მიაღწიონ შეთანხმებას სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის შესახებ.

ახალი ომის საფრთხეს შეიცავს და საყოველთაო მშვიდობის დაცვის საქმისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს შორეული აღმოსავლეთის ზოგიერთ რაიონში არსებული დაძაბული მდგომარეობა. დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა უნდა მოაწესრიგონ გადაუჭრელი საკითხები შორეულ აღმოსავლეთში სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების შესაბამისად. საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ სახელმწიფოებმა თავიანთ ეკონომიურ ურთიერთობაში უნდა აღმოფხვრან ყოველგვარი დისკრიმინაცია, რომელიც ხელს უშლის მათ შორის ფართო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებას, უწინარეს ყოვლისა ვაჭრობის დარგში, აგრეთვე გააფართოონ საერთაშორისო კულტურული ურთიერთობა.

ასეთ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა შორის ნდობის შექმნას, რაც მთავარი წინაპირობაა განიარაღების პრობლემის ნამდვილად პრაქტიკული გადაჭრისათვის. სახელმწიფოთა შორის საჭირო ნდობის შეუქმნელად განიარაღების პრობლემა შეიძლება დარჩეს ჰაერში გამოკიდებულ პრობლემად. ჩვენ გადაჭრით ვუჭერთ მხარს იმას, რომ განიარაღების საკითხი ჰაერში გამოკიდებული პრობლემიდან დადგეს რეალურ ნიადაგზე და გადაიჭრას.

ამ მიზნით საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა, რომ გენერალურმა ასამბლეამ, საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ზემოაღნიშნულ დებულებათა განხორციელებასთან ერთად, დაავალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას შეიმუშაოს და უშიშროების საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს პროექტი „საერთაშორისო კონვენციისა შეიარაღების შემცირების და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე“.

საბჭოთა კავშირის წინადადებები ითვალისწინებენ, რომ შეიარაღების შემცირება და ატომური იარაღის აკრძალვა უნდა განხორციელდეს ორი წლის განმავლობაში ორ ეტაპად, რომელთაგან თვითეულს დასჭირდება თითო წელიწადი.

პირველ პერიოდში, რომელიც მოიცავს 1956 წელს, უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, როგორც პირველ ნაბიჯს, არ გაადიდონ თავიანთი შეიარაღებული ძალები და შეიარაღება შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების იმ დონესთან შედარებით, რომელიც არსებობდა 1954 წლის 31 დეკემბრისათვის. მათი ასიგნებანი სამხედრო საჭიროებისათვის აგრეთვე განისაზღვრება იმ ხარჯების დონით, რაც გაწეული იყო ამ მიზნით 1954 წლის განმავლობაში.

საბჭოთა კავშირის წინადადებანი შემდეგ ითვალისწინებენ იმ დონის დაწესებას, რომლამდეც მცირდება სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები. ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, ჩინეთის, ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალები არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ ოდენობას:

ამერიკის შეერთებული შტატები	— 1.000.000-დან 1.500.000	კაცამდე
სსრ კავშირი	— 1.000.000-დან 1.500.000	კაცამდე
ჩინეთი	— 1.000.000-დან 1.500.000	კაცამდე
ინგლისი	— 650.000	კაცი
საფრანგეთი	— 650.000	კაცი

სახელმწიფოებს არ უნდა ჰყავდეთ შეიარაღებული ძალები, რომლებსაც შეუძლიათ საფრთხე შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობას.

(დასასრული მე-3 გვერდზე).

ნ. ა. ბულგანინის განცხადება

ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხთა ევროპიის კონფერენციისადმი

სახელმწიფოების ვარშავის თათბირზე 1955 წლის 11 მაისს

(დასასრული)

აღნიშნული ხუთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირება დადგენილ დონემდე უნდა განხორციელდეს ორ თანასწორ ნაწილად: 50 პროცენტი 1956 წლის განმავლობაში და დანარჩენი 50 პროცენტი — 1957 წელს. ამავე დროს შესაბამისად მცირდება ამ სახელმწიფოთა ასიგნობანი სამხედრო საჭიროებებზე.

საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ, რომ შეიარაღების საყოველთაო შემცირების ღონისძიებათა სრული განხორციელების მიზნით, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ოდენობის განსაზღვრისათვის, არაუგვიანეს 1956 წლის პირველი ნახევრისა მოწვეულ უნდა იქნას მსოფლიო კონფერენცია. შეიარაღებული ძალების რიცხვი, რომელსაც ეს კონფერენცია განსაზღვრავს სხვა სახელმწიფოებისათვის, გაცილებით ნაკლები უნდა იყოს იმ დონეზე, რაც დადგენილია უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრისათვის.

შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის პროგრამის განხორციელებაში პირველი რიგის ღონისძიებად საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტას.

საბჭოთა წინადადებებში შემდეგ აღნიშნულია, რომ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა განხორციელების დაწყებასთან ერთად სახელმწიფოები საქვეყნოდ კისრულობენ ვალდებულებას არ გამოიყენონ ატომგულის იარაღი, რომელიც თავისთვის აკრძალულად მიჩნიათ. გამონაკლისი ამ წესიდან შეიძლება დაშვებულ იქნას აგრესიის წინააღმდეგ თავდაცვის მიზნით, როცა მიღებული იქნება უშიშროების საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საბჭოთა კავშირის ახალი წინადადებანი ითვალისწინებენ, რომ სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, კისრულობენ ვალდებულებას მოახდინონ ამ ბაზების ნაწილის ლიკვიდაცია 1956 წლის განმავლობაში.

მეორე პერიოდის განმავლობაში, ე. ი. 1957 წლის განმავლობაში, საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ შემდეგ ღონისძიებათა განხორციელებას:

ჯერ-ერთი, დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის წარმოება; მეორე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სსრ კავშირმა, ჩინეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა უნდა შეამცირონ თავიანთი შეიარაღებული ძალები და შეიარაღება იმ განსხვავების დანარჩენი 50 პროცენტით, რომელიც არის 1954 წლის 31 დეკემბრისათვის არსებულ შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების დონესა და იმ დონეს შორის, რომელიც ნებადართული ექნებათ მათ კონვენციით.

მას შემდეგ, რაც შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შემცირება განხორციელდება მათი შემცირების საერთო ოდენობის 75 პროცენტით, ძალაში შევა ატომური, წყალბადისა და ნასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის გამოყენების სრული აკრძალვა. შეიარაღებიდან ამ იარაღის ამოღება და შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების უკანასკნელი 25 პროცენტით შემცირება უნდა დაიწყოს ერთსა და იმავე დროს და დამთავრდეს 1957 წელს.

საბჭოთა წინადადებანი ავალებენ ყველა სახელმწიფოს ხელი შეუწყონ იმას, რომ ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა დამყარდეს ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევას.

დასასრულ საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ, რომ მეორე პერიოდის განმავლობაში დამთავრდეს ღონისძიებათა განხორციელება სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე უცხოელთა ყველა სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზის სალიკვიდაციოდ.

სავსებით აშკარაა, რომ ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელება წარმოუდგენელია, თუ არ იქნა რეალური და ქმედითი კონტროლის სისტემა. ამიტომ კონტროლის საკითხი კონვენციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

შემთხვევითი როდია, რომ უკვე თითქმის ცხრა წლის განმავლობაში კონტროლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში დისკუსიის ცენტრალური საკითხი და უთანხმოების ძირითადი პუნქტია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს უთანხმოება, კერძოდ, კონტროლის საკითხისადმი არარეალური მიდგომის შედეგია. საბჭოთა მთავრობა ღრმად დარწმუნებულია, რომ ეფექტიანი კონტროლი განიარაღებისადმი შესაძლებელია. მაგრამ ყველა სახეობისა და ფორმის კონტროლი აგრეთვე საკონტროლო ორგანოების უფლებები და ფუნქციები, რომლებიც დღემდე დასახა სხვადასხვა სახელმწიფომ, თანამედროვე პირობებში საიმედო არ არის.

შემოაქვს რა ახალი წინადადება კონტროლის შესახებ, საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს იმ ურთიერთობას, რომელიც ამჟამად შეიქმნა სახელმწიფოთა შორის. ამ ურთიერთობას, როგორც უკვე ითქვა, ახასიათებს უნდობლობა და ეჭვი. ასეთი ურთიერთობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ განხორციელდეს ეფექტიანი კონტროლი იმ ბაზაზე, რომელიც დღემდე იყო დასახული.

ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ სახელმწიფოებმა, რომლებიც ერთმანეთს არ ენდობიან და დაძაბული ურთიერთობა აქვთ, ნამდვილად დაუშვან ატომური მასალებისა და ატომური და წყალბადის იარაღის მწარმოებელ თავიანთ სამხედრო ქარხნებსა და დაწესებულებებში სხვა ქვეყნების კონტროლიორები. ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ზოგიერთი ქვეყნების მთავრობები კულტურული, სასოფლო-სამეურნეო და სტუდენტთა დელეგაციების ჩასვლასაც კი უქმნიან დაბრკოლებებს.

კიდევაც რომ შესაძლებელი იყოს ასეთი კონტროლი, მას არაეფექტიანი ხასიათი ექნებოდა, რადგან როცა ურთიერთნდობა არ არის, შესაძლებელია ამ კონტროლის გვერდის ავლაც. ასეთი მდგომარეობა მით უფრო დასაჯერებელია, რომ ატომის წარმოების ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, რომ სწრაფად და გაუძნელებლად, მხოლოდ ზოგიერთი სპეციალური მოწყობილობის დახმარებით ატომურ იარაღად გადააქციონ ატომური მასალები, რომლებიც განკუთვნილია მშვიდობიანი გამოყენებისათვის. ამრიგად, შეიძლება გვყავდეს კონტროლიორები, მაგრამ არ გვქონდეს კონტროლი.

როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე ომი წარმოუდგენელია დიდი სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების გაუშლელად და თავმოუყრელად. ატომური იარაღი თავისთავად, თუ აქტიურად არ მოქმედებენ ყველა სახეობის შეიარაღებული ძალები, არ შეიძლება ეფექტიანი იყოს იმ აზრით, რომ მარტო ატომური იარაღი არ წყვეტს ომის ბედს. ატომური იარაღი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, თუ არ არის საშუალებანი, რომ იგი მიიტანონ მიზანთან. ამიტომ საბჭოთა წინადადებანი კონტროლის შესახებ ითვალისწინებენ იმას, რომ საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, როცა ყოველი სახელმწიფოს აგრესიული განზრახვები შეიძლება დროზე გამომჟღავნდეს და აღიკვეთოს.

ჩვენი წინადადებაა დაწესდეს ისეთი კონტროლი, რომელიც შეძლებს დროზე აღკვეთოს სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების საშიში კონცენტრაცია. ამისათვის საჭიროა გვქონდეს საკონტროლო საგუშაგოები დიდ ნავსადგურებში, აეროდრომებზე და კომუნიკაციათა კვანძებზე, რომლებსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. ასეთი კონტროლის დაწესება სავსებით გამორიცხავს ერთი სახელმწიფოს უეცარ თავდასხმას მეორე სახელმწიფოზე.

საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ ეფექტიან კონტროლს შეიარაღებული ძალების, ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შემცირებისადმი და სამხედრო საჭიროებებზე ასიგნობებისადმი. ამ მიზნებისათვის შექმნილ საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება მოსთხოვოს სახელმწიფოებს საჭირო ცნობები შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, უნდა შეეძლოს დაუბრკოლებლად გაეცნოს მასალებს, რომლებიც ეხება სახელმწიფოთა საბიუჯეტო ასიგნობებს სამხედრო საჭიროებებისათვის.

შეაქვს რა ეს წინადადებანი, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ მის მიერ დასახული საკონტროლო ღონისძიებანი დაწყებითს პერიოდში შექმნიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის და ნდობის დამყარებისათვის საჭირო პირობებს, რომლებიც შესაძლებელს გახდიან, რომ შემდგომში შემოღებულ იქნას სხვა სახეობათა კონტროლი, მათ შორის ატომური იარაღის მოსპობისა და ამოღებისადმი კონტროლიც მუდმივ საფუძველზე, რომლის დეტალური შინაარსი უნდა განისაზღვროს სპეციალური ინსტრუქციით მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნება შეთანხმება პრინციპულად.

საბჭოთა კავშირის ახალი წინადადებანი განიარაღების საკითხებზე ამოცანად ისახავენ იხსნან კაცობრიობა ახალი გამანადგურებელი ომისაგან, შეანელონ დაძაბული ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის, გაათავისუფლონ ხალხები მძიმე საგადასახადო ტვირთისაგან, რომელიც მათ აწევთ განუწყვეტელ გამალებულ შეიარაღებასთან დაკავშირებით, უზრუნველყონ იმის შესაძლებლობა, რომ განთავისუფლებული რესურსები გამოყენებულ იქნას ხალხთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად და ეკონომიურად სუსტადგანვითარებული ქვეყნებისათვის ფართო დახმარების გასაწევად.

IV.

იმ განწყობილების მკაფიო მაჩვენებელი, რომელსაც ახლა მოუცავს ხალხთა ფართო მასები, არის აზიისა და აფრიკის 29 ქვეყნის ბანდუნგის კონფერენცია, რომელიც ამას წინათ დამთავრდა. კონფერენციის მუშაობამ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, ხოლო მისი დადებითი შედეგები დიდ როლს შეასრულებენ მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში. თუმცა კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სოციალური სისტემები, მაგრამ მისმა მონაწილეებმა შეთანხმებული გადაწყვეტილებანი მიიღეს ყველა განხილული საკითხის შესახებ. კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია საყოველთაო მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ხელის შეწყობის შესახებ, დეკლარაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.

გადაწყვეტილებანი აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციისა, რომელმაც განიხილა ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხები, მოწმობენ სწორ მიდგომას საერთაშორისო ცხოვრების პრობლემებისადმი. კონფერენციამ განაცხადა, რომ საერთაშორისო დავის მოწესრიგება უნდა ხდებოდეს მშვიდობიანი საშუალებებით, მოლაპარაკების გზით. ასეთი გზა სწორი და ნაყოფიერია. ცნობილია, რომ ახლო წარსულში, ასეთი გზით, მოხერხდა ბოლო მოგვეღო ომისათვის კორეასა და ინდოჩინეთში. მომავალში ასევითვე გზით შეიძლება მივაღწიოთ აგრეთვე სხვა გადაუჭრელი საკითხების მოწესრიგებას. ამის დადასტურებაა ავსტრიის საკითხი. დღეისათვის მიღწეულია სახელმწიფოთა შეთანხმება, რომ სახელმწიფო ხელშეკრულება დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ ხელმოწერილ უნდა იქნას 15 მაისს ვენაში.

ვუბრუნდები რა ევროპის უშიშროების საკითხს, უნდა განვაცხადო, რომ საბჭოთა მთავრობა კვლავ იმ აზრისაა, რომ თანამედროვე ვითარებაშიც ამ რაიონში მშვიდობის უზრუნველყოფისა და ახალი აგრესიის თავიდან აცილების საუკეთესო გზაა კოლექტიური უშიშროების სისტემის ორგანიზაცია ევროპის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა.

ევროპის უშიშროების საკითხი ამჟამად განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა. ამ პრობლემასთან დაკავშირებული ყოველი საკითხის დადებითი გადაჭრა ხელს შეუწყობს ხალხთა მშვიდობიანი და უშფოთველი ცხოვრების პირობების შექმნას. პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციამ გააძნელა ამ პრობლემის გადაწყვეტა, მაგრამ დღის წესრიგიდან როდი მოუხსნია იგი.

როცა საბჭოთა მთავრობამ ევროპის სახელმწიფოებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შესთავაზა სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის ორგანიზაციის პროექტი, მაშინ, სამწუხაროდ, ამ წინადადებას დასავლეთის სახელმწიფოებმა მხარი არ დაუჭირეს და იგი განუხორციელებელი დარჩა.

დასავლეთის სახელმწიფოებმა ამჯობინეს გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის პოლიტიკა აქედან გამომდინარე მთელი შედეგებით, პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო დაჯგუფების შექმნას დასავლეთ ევროპის კავშირის სახით რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის მონაწილეობით. მაგრამ ეს პოლიტიკა გზას უხსნის ახალ აგრესიას, აძლიერებს ახალი ომის საფრთხეს და უქმნის საფრთხეს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ეროვნულ უშიშროებას.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა ამ ახალ პირობებში უნდა იზრუნონ თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფისათვის. ეს საჭიროა გაკეთდეს იმ საფუძველზე, რომელიც რვა სახელმწიფომ დასახა მოსკოვის თათბირზე და შემდგომ კონსულტაციებში მათ შორის. საბჭოთა კავშირის მთავრობა გამოთქვამს სურვილს, რომ მომავალში შეიქმნას შესაძლებლობა მივაღწიოთ ევროპის უშიშროების ისეთ უზრუნველყოფასაც, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის ყველა სახელმწიფო, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები.

მოსკოვის თათბირმა ხელი შეუწყო ჩვენი დემოკრატიული ბანაკის ძალების შემდგომ დარაზმვას და თანაგრძნობის გამოხმაურება გამოიწვია მშვიდობის ყველა მეგობრის მხრივ. თათბირის მონაწილე ქვეყნების ხალხებმა თავის მხრივ ერთსულოვნად მოიწონეს მისი მუშაობა. თათბირმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მჭიდრო და გულითადი მეგობრობა და გამოიწვია მათ შორის თანამშრომლობის სფეროს გაფართოება, რომელიც ახლა ვრცელდება აგრეთვე ერთობლივი თავდაცვის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მოსკოვის თათბირზე ერთსულოვნად მიღებულ დეკლარაციაში საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და ალბანეთის მთავრობებმა განაცხადეს, რომ შექმნილი მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოების ღონისძიებათა გაერთიანების ამოცანას თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით. მაშინ მათ განაცხადეს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ ღონისძიებათა მიღება, რათა დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკის აგრესიულ ძალებს დაუპირისპირდეს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა გაერთიანებული ძლიერება თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

მოსკოვის თათბირის შემდეგ მის მონაწილეთა შორის გამართულმა კონსულტაციებმა გამოავლინა შეხედულებათა სრული ერთიანობა იმის შესახებ, რომ საჭიროა დაიდოს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება მოსკოვის თათბირის მონაწილე რვა სახელმწიფოს შორის, აგრეთვე ასეთი ხელშეკრულების პრინციპების შესახებ.

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის შეიქმნა ახალი, ისტორიაში უპრეცედენტო, ურთიერთობა, რომელიც ემყარება მიზნებისა და ინტერესების ერთობას, თანასწორუფლებიანობის, სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს. ჩვენი სახელმწიფოები გულწრფელად ისწრაფვიან დაეხმარონ ერთმანეთს და მიაღწიონ საერთო აღმავლობას. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში გამოხატულია სოციალისტური ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური პრინციპები, თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ხალხების ძმური მეგობრობის დიადი იდეები.

თითქმის ყველა ჩვენი სახელმწიფო დაკავშირებულია ერთმანეთთან მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ორმხრივი ხელშეკრულებებით, რომლებმაც შეასრულეს და კვლავ ასრულებენ დიდმნიშვნელოვან როლს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

მაგრამ ახალ ვითარებაში ეს უკვე საკმარისი არ არის. ჩვენ ყველანი დავეთანხმეთ იმას, რომ საფრთხე ჩვენი სახელმწიფოების უშიშროების მიმართ, რომელიც გაიზარდა დასავლეთის სახელმწიფოების აგრესიულ ღონისძიებათა შედეგად, მოითხოვს ძალღონის გაერთიანებას და ახალ ღონისძიებათა მიღებას ჩვენი მშვიდობისმოყვარე ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად. სწორედ ამ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომლის დასადებადაც ჩვენ აქ შევიკრიბეთ.

ხელშეკრულებაში უნდა განისაზღვროს ერთობლივი თავდაცვის ვალდებულებანი, რომელიმე მის მონაწილეზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში. თუ ასეთი თავდასხმა მოხდა, მაშინ ხელშეკრულების მონაწილე თვითეულმა სახელმწიფომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელების წესით დაუყოვნებლივ უნდა გაუწიოს სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს, რომლებსაც თავს დაესხნენ, დახმარება ინდივიდუალურად და ხელშეკრულების სხვა მონაწილეებთან შეთანხმებით ყველა საშუალებით, რასაც იგი საჭიროდ მიიჩნევს, მათ შორის შეიარაღებული ძალების გამოყენებით.

ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა დაუყოვნებლივ უნდა მოითათბირონ ერთობლივ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიღებაც საჭიროა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების აღდგენის და დაცვის მიზნით.

მოსკოვის თათბირზე მიღებული დეკლარაციის შესაბამისად ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს იმ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შექმნას, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილეთა შეთანხმებით გამოიყოფა ამ სარდლობის გამგებლობაში. აგრეთვე იგულისხმება, რომ ხელშეკრულების მონაწილენი მიიღებენ სხვა შეთანხმებულ ღონისძიებებს, რაც საჭიროა მათი თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად, რათა უზრუნველყონ მათი საზღვრებისა და ტერიტორიების ხელშეუხებლობა და შესაძლო აგრესიისაგან დაცვა.

ხელშეკრულების პროექტის თანახმად, მის მონაწილეებს კონსულტაცია ექნებათ ერთმანეთს შორის ყველა დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხზე, რომლებიც მათს საერთო ინტერესებს ეხება.

იგულისხმება, რომ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის თანამშრომლობა მოიცავს არა მარტო ერთობლივი თავდაცვის საკითხებს, არამედ ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებსაც.

ბლოკები, რომლებსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები ქმნიან, აგებულია ბატონობისა და დამორჩილების პრინციპზე. ასეთია იმ ბლოკების ბუნება, რომლებიც ემსახურებიან მათი ორგანიზატორების — დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების ინტერესებს. ამ სახელმწიფოთა მმართველი წრეები მათ მიერ შექმნილ აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებებში აბამენ მცირე ქვეყნებს, რათა მიიღონ ადამიანთა რეზერვები, უზრუნველყონ ახალი პლაცდარმებისა და სამხედრო ბაზების შექმნა. ამასთან ერთად ისინი აგრესიულ ბლოკებს იყენებენ ამ კავშირებში თავიანთი პარტნიორების პოლიტიკური და ეკონომიური დამორჩილებისათვის. ყველასათვის ცნობილია, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შექმნის დროიდან მის მონაწილე ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მნიშვნელოვანი ზიანი მოუვიდა. ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც ამ აგრესიულ ბლოკში მთავარ როლს ასრულებენ, სულ უფრო მეტად იმორჩილებენ მის სხვა მონაწილეებს.

ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წარმოდგენილია ჩვენს განსახილველად, ემყარება სრულიად სხვა პრინციპებს. ჩვენი სახელმწიფოებისათვის, ხალხებისა და ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებისათვის უცხოა ერთი სახელმწიფოს მეორეზე ბატონობის, ერთი ხალხის მეორე ხალხზე ბატონობის პრინციპი. ჩვენი ხელშეკრულების პროექტი ემყარება სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს, რაც ყველა აქ წარმოდგენილი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საფუძველია.

ცნობილია, რომ აგრესიული ხელშეკრულებანი, რომლებსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები დებენ, გამორიცხავენ შესაძლებლობას, რომ ამ ხელშეკრულებებს თავისუფლად შეუერთდნენ სხვა სახელმწიფოები. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან აგრესიული ხელშეკრულებები სწორედ იმისათვის იდება, რომ ისინი გამოიყენონ სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ასეთი ხელშეკრულების მაგალითია ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი.

თქვენ გახსოვთ, რომ როცა 1954 წლის მარტში საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადება დაინტერესებულ ქვეყნებთან ერთად განხილულიყო ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის საკითხი, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა უარყვეს ეს წინადადება. ამით მათ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე დაადასტურეს, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი არის აგრესიული ბლოკი, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წარმოდგენილია ჩვენს რვა სახელმწიფოს შორის დასადებად, არ იქნება კარდახშული. მას შეუძლია შეუერთდეს ყველა სხვა სახელმწიფო, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა. რვა სახელმწიფოს ხელშეკრულების ეს თავისებურება მოწმობს მის თავდაცვითს ხასიათს, ისევე როგორც იმ ორგანიზაციის თავდაცვითს ხასიათს, რომელიც მის საფუძველზე შეიქმნება.

წინასწარი კონსულტაციების პროცესში ჩვენ ყველანი ერთსულოვნად მივედით იმ დასკვნამდე, რომ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთერთდახმარების ასეთი ხელშეკრულების დადება არ ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულების მონაწილენი უარს ამბობენ შემდგომ ცდებზე — შექმნან სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა. ეს გამოხატულია ხელშეკრულების პროექტში, სადაც ნათქვამია, რომ მისი მონაწილენი კვლავაც განუხრელად ეცდებიან შექმნან სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა და ამ მიზნით დადონ სრულიად ევროპის ხელშეკრულება კოლექტიური უშიშროების შესახებ. ჩვენი ხელშეკრულების პროექტი ემყარება იმას, რომ სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შემთხვევაში რვა სახელმწიფოს ხელშეკრულება შეწყვეტს თავის მოქმედებას სრულიად ევროპის ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან.

ჩვენი თათბირისათვის წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს. საბჭოთა კავშირი და, იმედი მაქვს, თათბირის ყველა სხვა მონაწილე ყოველ ღონეს იხმარს, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ზუსტად დაცვის საფუძველზე შექმნილი ჩვენი ორგანიზაცია გახდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ეფექტიანი საშუალება.

ხელშეკრულების პროექტში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების დამდები მხარეები აცხადებენ, რომ მზად არიან მონაწილეობა მიიღონ გულწრფელი თანამშრომლობის სულისკვეთებით ყველა საერთაშორისო მოქმედებაში, რომლის მიზანია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა, და მთელ ძალებს მოახმარენ ამ მიზნების განხორციელებას.

აქ წარმოდგენილი სახელმწიფოები იყვნენ და კვლავ არიან შეიარაღების მტკიცე საყოველთაო შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის თანმიმდევრული მომხრეები. ეს ჩვენი საერთო მისწრაფება გამოხატულია ხელშეკრულების პროექტში, სადაც ნათქვამია, რომ მისი მონაწილენი ეცდებიან სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით, რომლებიც მოისურვებენ თანამშრომლობას ამ საქმეში, მიიღონ ეფექტიანი ღონისძიებანი შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვისათვის.

* * *

ამხანაგებო! იმპერიალისტურ ბანაკს, რა თქმა უნდა, უფრო მოეწონებოდა, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილი ვისხდეთ და არაფერს არ ვაკეთებდეთ, ხოლო ისინი ახორციელებდნენ „ძალის პოზიციის“ თავიანთ პოლიტიკას, იარაღდებოდნენ და უკარნახებდნენ ყველას თავიანთ ნებას.

მაგრამ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა ხომ ორლესული მახვილია. თუ ერთი მხარე ზრდის თავის ძალებს, მეორეც იძულებულია იგივე გააკეთოს. ამის შედეგად ხდება ის, რასაც პოლიტიკურ ენაზე ეწოდება გამალებული შეიარაღება და რაც შეიცავს ომის გაჩაღების სერიოზულ საფრთხეს.

ჩვენ არა ვართ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მომხრეები. ჩვენ არ ვესწრაფვით ომს, ჩვენ არა გვსურს გამალებული შეიარაღება, ჩვენ მოვითხოვთ განიარაღების ყველაზე რადიკალურ ღონისძიებებს. ჩვენ ვამჯობინებთ, რომ რესურსები, რომლებიც ახლა იძულებული ვართ ვხარჯოთ სამხედრო მიზნებისათვის, დაიხარჯოს მშვიდობიანი საჭიროებისათვის, ჩვენი ხალხების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ როცა ჩვენს წინააღმდეგ ქმნიან სამხედრო ბლოკებს, ჩვენს ქვეყნებს გარს არტყამენ სამხედრო ბაზებს და ემუქრებიან ატომური ომით, ჩვენ არ შეგვიძლია უმოქმედოდ ვიყოთ. ამ პირობებში ჩვენ მოვალენი ვართ მივიღოთ საპასუხო ღონისძიებანი, და ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა ჩვენი თათბირი და ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც ამ თათბირზე უნდა მივიღოთ.

მოსკოვის დეკლარაციამ, აგრეთვე ამ თათბირის მონაწილეთა შორის გამართულმა წინასწარმა კონსულტაციებმა ცხადყვეს, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა და იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ ახალი სამხედრო ბლოკების შექმნის პასუხად აქ წარმოდგენილ სახელმწიფოებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დარაზმონ თავიანთი ძალები, კიდევ უფრო განამტკიცონ თავიანთი მეგობრობა და თანამშრომლობა.

რვა სახელმწიფოს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადებით ურყევი საფუძველი ეყრება მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა გაერთიანებულ მოქმედებას, რათა პასუხი გასცენ აგრესიას, რომელიც მზადდება, და უზრუნველყონ მშვიდობა და უშიშროება ევროპაში.

საბჭოთა კავშირის მთავრობა მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ამ თათბირის გადაწყვეტილებანი შექმნიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ყველა სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფის საიმედო საფუძველს. ამასთან ერთად ჩვენი თათბირი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება როგორც ევროპის, ისე მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ამოცანების გადაჭრაში.

ი. ცირანკევიჩის შესავალი სიტყვა

ვარშავის თათბირის გახსნაზე

პატივცემულო დელეგატებო, ძვირფასო ამხანაგებო.

ნება მიბოძეთ პოლონელი ხალხის სახელით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით, ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხთა ევროპის სახელმწიფოების თათბირის გახსნისას, გულითადად მოგესალმოთ ჩვენს დედაქალაქში. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვარშავა — სახალხო პოლონეთის დედაქალაქი ამ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი თათბირის მოწყობის ადგილია. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვარშავა — ქალაქი, რომელმაც ესოდენ გმირული წინააღმდეგობა გაუწია ფაშიზმს და რომელიც დღეს სწრაფად შენდება ნანგრევებიდან მთელი ხალხის ღონისძიებებით და საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით, ხვდება ჩვენი მოძმე ხალხების მთავრობათა მეთაურებს, რომ აქ მიმდინარეობს ევროპის სახელმწიფოთა უმნიშვნელოვანესი თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ.

განსაკუთრებით მხურვალედ მივესალმები სსრ კავშირის დელეგაციას საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარის ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინის მეთაურობით. მივესალმები საბჭოთა დელეგაციას ვარშავაში უშუალოდ მეათე წლისთავის შემდეგ ამ დღიდან, რაც საბჭოთა არმიამ დიადი გამარჯვება მოიპოვა ფაშიზმზე. მივესალმები თათბირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს, როგორც ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის დაუცხრომელ მებრძოლებს. მივესალმები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას, რომლის ამ თათბირზე დასწრებაც მეთვალყურის სახით გამოხატავს მის, როგორც აზიის დიდი და წამყვანი სახელმწიფოს ინტერესს ევროპის პრობლემებისადმი და მის სოლიდარობას ევროპის მშვიდობის საქმისადმი. მივესალმები სახალხო დემოკრატიის მოძმე და ჩვენთვის ძვირფასი ქვეყნების ყველა დელეგაციას.

ხუთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ მოსკოვში შევიკრიბეთ. მოსკოვში მიღებულ დეკლარაციაში ჩვენ გარკვეული პოზიცია დავიკავეთ დასავლეთის სახელმწიფოთა მოქმედებასთან დაკავშირებით, რომელნიც დასავლეთ გერმანიაში აღადგენენ ჩვენი ხალხების მოსისხლე მტერს — გერმანულ მილიტარიზმს და აგრესიული სამხედრო ბლოკის ფორპოსტად აქცევენ მას.

მოსკოვის თათბირმა გამაცხადა, რომ მის მონაწილე სახელმწიფოებს განზრახული აქვთ კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელონ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემთხვევაში. ამერიკის მმართველი წრეების ზეგავლენის შედეგად აგრესიული პარიზის შეთანხმებანი რატიფიცირებულ იქნა ევროპის ხალხთა ნებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მოვახდინეთ აზრთა შემდგომი გაცვლა ჩვენი ერთობლივი თავდაცვითი ღონისძიებების და, კერძოდ, მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების, აგრეთვე ჩვენი შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შექმნის საკითხზე.

თათბირის წინაშე დგას პასუხსაგები ამოცანები, რადგან ჩვენ უნდა განვიხილოთ კონკრეტული საშუალებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნების უშიშროებას, ხოლო ამით ევროპის მშვიდობას.

მტკიცედ ვადგავართ რა ჩვენი უშიშროებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გზას, ჩვენ ამავე დროს ხელიდან არ გავუშვებთ არც ერთ შესაძლებლობას, რომ მივაღწიოთ საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებას, რომ ხელი შევუშალოთ უგუნურ გამალებულ შეიარაღებას, რაც წამოიწყეს იმპერიალისტურმა და მილიტარისტულმა წრეებმა.

ამიტომ ვარშავის თათბირს დიდი მნიშვნელობა აქვს. მას მიაპყრობს ყურადღებას ყველა ხალხი, რომელიც დაინტერესებულია ევროპაში მშვიდობის დაცვითა და განმტკიცებით, იგი წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება კოლექტიური უშიშროების პრინციპების რეალიზაციის გზაზე, იგი მძლავრ დაბრკოლებას შეუქმნის იმ აგრესიულ ფანდებს რასაც მიმართავენ მილიტარისტები და რევანშისტები, რომლებიც ჰიტლერულ ვერმახტს აღადგენენ.

პოლონელი ხალხისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით ნაყოფიერ მუშაობას ვუსურვებ თათბირს.

ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის თათბირს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ გახსნილად ვაცხადებ.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ვენის თათბირის შესახებ

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, 2 მაისიდან ვენაში მიმდინარეობს სსრ კავშირის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ელჩების თათბირი, რომელშიც მონაწილეობენ ავსტრიის წარმომადგენელნი. ელჩების თათბირის ამოცანაა დაამთავროს დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის სახელმწიფო ხელშეკრულების ტექსტის მომზადება, რათა ეს ხელშეკრულება განიხილონ და ხელი მოაწერონ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, აგრეთვე ავსტრიამ.

იმასთან დაკავშირებით, რომ მალე დამთავრდება ელჩების მუშაობა ხელშეკრულების ტექსტის შესათანხმებლად, 9 მაისს დიდი ბრიტანეთის ელჩმა მოსკოვში ბ-ნმა უ. ჰეიტერმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის სახელზე გამოგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბ-ნ ჯ. ფ. დალესის, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ა. პინეს და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ჰ. მაკმილანის წერილი. ამ წერილში სამი აღნიშნული სახელმწიფოს მინისტრები წინადადებას აყენებენ, რომ ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერა მოხდეს ვენაში 15 მაისს იმ პირობით, რომ ამ დროისათვის ყველაფერი მზად იქნება, და რომ 14 მაისს ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა გამართონ არაოფიციალური საუბარი.

10 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა დიდი ბრიტანეთის მოსკოველი ელჩის ბ-ნ უ. ჰეიტერის მეშვეობით გაუგზავნა პასუხი ბ-ნებს ჯ. ფ. დალესს, ა. პინეს და ჰ. მაკმილანს. პასუხში ნათქვამია, რომ მათ მიერ დათქმული თარიღი შეხვედრისა მისაღებია და რომ იგი, ვ. მ. მოლოტოვი, 14 მაისს ჩავა ვენაში და შეძლებს მონაწილეობა მიიღოს არაოფიციალურ საუბარში. ვ. მ. მოლოტოვმა აგრეთვე აცნობა, რომ იგი კმაყოფილებით იღებს დასავლეთის სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების წინადადებას, რომ ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულებას ხელი მოაწერონ ვენაში 15 მაისს.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესია

ათ მაისს მოსკოვში, პროფკავშირთა სახლის მრგვალ დარბაზში, მუშაობა დაიწყო პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს 27-ე სესიამ.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სახელით საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ნ. სოლოვიოვი გულთბილად მიესალმა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელებსა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეებს, რომლებიც მოსკოვს ჩამოვიდნენ სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის.

მოხსენება დღის წესრიგის პირველ პუნქტზე — „პროფკავშირთა როლი ხალხთა ერთობლივ ბრძოლაში მშვიდობისათვის, ატომური ომის გეგმების ჩაფუშვისა და მშრომელთა მოთხოვნებისათვის“ — სესიაზე გააკეთა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა.

მან აღნიშნა, რომ 1955 წლის დამდეგიდან საერთაშორისო მდგომარეობა შესამჩნევად გამწვავდა. გაძლიერდა ატომური ომის საფრთხე.

ამასთან ერთად ლუი საიანმა, განაცხადა რა, რომ საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესება აძლიერებს ხალხების ოპოზიციას იმპერიალისტთა საომარი ზრახვებისადმი, ხაზგასმით აღნიშნა მშვიდობისათვის სახალხო მოძრაობის მსოფლიო გაქანების დადებითი მნიშვნელობა.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა ღონისძიებებზე, რომლებიც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ განახორციელა იმ მიზნით, რომ შემდგომ განვითარდეს ევროპის, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლა, რაც, როგორც აღნიშნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს მე-7 სესიამ, რომელიც 1954 წლის დამლევს მიმდინარეობდა, ყველა ქვეყნის მშრომელთა მთავარი და გადაუდებელი ამოცანაა.

ილაპარაკა რა ევროპისა და აზიის მშრომელთა მოქმედების ერთიანობის გაძლიერებაზე, ლუი საიანმა მოხსენების დასასრულს წინადადება წამოაყენა, რომ მოქმედების ერთიანობის საკითხი განხილვის ცენტრალური საკითხი იყოს აღმასრულებელი ბიუროს ახლანდელ სესიაზე.

მოსკოვს ჩამოვიდა ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია

7 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია.

ცენტრალური აეროდრომი. ინდოეთის პარლამენტის დეპუტატების პატივსაცემად გამოკიდებულია ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ალმები.

16 საათზე თვითმფრინავი დაეჯდა. თვითმფრინავიდან გამოდიან ინდოეთის პარლამენტის დელეგაციის მეთაური — ინდოეთის პარლამენტის შტატების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კრიშნამურტი რაო, შტატების საბჭოს დეპუტატები — პროფესორი ნ. გ. რანგა, დივან ჩამან ლალი, ქ-ნი პარეათხი კრიშნანი; სახალხო პალატის დეპუტატები — შუკატულაჰ შაჰ ანსარი, რამეშვარ სახუ, ქ-ნი ინდირა მაიდეო, რ. ნატესანი, ალგუ რაი შასტრი, დიგვიჯაია სინგხი, კამალ კუმარ ბასუ, სარდარ ხუკამ სინგხი და შტატების საბჭოს მდივანი ს. მუკერჯი, რომელიც დელეგაციას ახლავს.

მეგობარი ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. პ. ტარასოვი, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. ლებედევი, ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. ტ. შეპილოვი, ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. მ. საფრონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ს. ა. გერასიმოვი, ზ. ა. ლებედევა, ხ. მაგლაინოვა, ვ. ვ. მაკეიჩევი, დ. სეიტნიაზოვი, ა. ა. ლუკოვი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ი. ბობრიონეკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები.

ინდოეთის დელეგაციის შესახვედრად მოვიდა აგრეთვე ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კ. პ. შ. მენონი. აქ არიან საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით დიდი ინდოელი ხალხის წარმომადგენლებს მიესალმა მ. პ. ტარასოვი. იგი ამბობს, რომ მრავალეროვან საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა საშუალებას მისცემს სტუმრებს გაეცნონ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასა და შრომას, საბჭოთა ხალხის ღონისძიებებს ჩვენი რესპუბლიკების სამშვიდობო ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, თქვა მან, რომ ყველგან, სადაც თქვენ იქნებით ჩვენს ქვეყანაში, შეხვდებით საბჭოთა ადამიანების გულწრფელ სიმპათიას ინდოელი ხალხისადმი. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და ინდოეთის რესპუბლიკის პარლამენტს შორის უშუალო კავშირის დამყარება ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის და ინდოეთის ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

უპასუხა რა მისალმებაზე, კრიშნამურტი რაომ გადასცა მხურვალე სალამი ინდოელი ხალხისაგან და განაცხადა, რომ ინდოეთის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატთა ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში, რომელიც ესოდენ ბევრს აკეთებს მშვიდობის განმტკიცებისათვის, ხელს შეუწყობს ინდოელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას, მშვიდობის საქმეს.

ინდოეთის დელეგაცია საბჭოთა კავშირში დარჩება რამდენიმე კვირას. ამ პერიოდში იგი შეძლებს გაეცნოს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების სხვადასხვა მხრეს, ესაუბრება სსრ კავშირის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს. (საკდესი).

ჩინეთის პროფკავშირული დელეგაცია საქართველოში

საქართველოში ოთხ დღეს იყო სტუმრად ჩინეთის პროფკავშირული დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის აღმასკომის წევრი—შანხაის პროფკავშირთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ჯუნ მინი.

დელეგაციის წევრები იყვნენ რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებში, კულტურულ-საგანმანთლებლო დაწესებულებებსა და თეატრებში, ესაუბრნენ ხელმძღვანელ პროფკავშირულ მუშაკებს, გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს. ჩინელ მეგობრებს ყველგან გულითადი შეხვედრა მოუწყეს.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში სტუმრები დაინტერესდნენ იმით, თუ როგორ არის მოწყობილი მრეწველობის სხვადასხვა დარგისათვის საჭირო ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოება, რომლებიც, კერძოდ, გამოყენებულია ჩინეთის ანშანის მეტალურგიულ კომბინატში, დაინტერესდნენ აგრეთვე ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილებით.

ავსტრიის განთავისუფლების მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო თბილისში

9 მაისს თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა საბჭოთა არმიის მიერ ავსტრიის განთავისუფლების მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. საღამო მოაწყო უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ.

თეატრის სცენა მორთულია ცოცხალი ყვავილებით და ავსტრიის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. სცენის შუაგულშია ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ემბლემა.

დარბაზში შეიკრიბნენ საწარმოთა და მშენებლობათა წარმომადგენლები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, სტუდენტები. საღამოზე არიან ბრაზილიის კულტურის მოღვაწეთა და გლეხთა დელეგაციები, რომლებიც თბილისში სტუმრად იმყოფებიან. დელეგაციებს მეთაურობენ ფრანსისკო პეიშოტო და ერას ტრეწნი.

ბრაზილიის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია საქართველოში

საქართველოში რამდენიმე დღეს იყო სტუმრად ბრაზილიის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია ფრანსისკო პეიშოტოს მეთაურობით.

დელეგაციამ ინახულა თბილისის საწარმოები, მუზეუმები, თეატრები, სასწავლებლები და სამედიცინო დაწესებულებანი. იყო ქალაქ გორში, სადაც დაათვალიერა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი და გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობა.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ სტუმრების პატივსაცემად გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

თბილისიდან წასვლის წინ დელეგაციის წევრებმა გააკეთეს განცხადება, რომელშიც დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ საბჭოთა საქართველოში ყოფნის გამო.

— ჩვენ აღტაცებული ვართ, — ნათქვამია განცხადებაში, — ქართული კულტურის მონახოვრებით, რომელიც ეყრდნობა ხალხურ ტრადიციებს და მიდის წინ. ქართველი ხალხის წარმატება კულტურის განვითარებაში ჩვენ ენახეთ მრავალი გამოვლინებით — ეროვნული ხელოვნების აყვავებით, სკოლების, მუზეუმებისა და საავადმყოფოების კარგი ორგანიზაციით.

მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, რომლებსაც ჩვენ გავეცანით, გვიჩვენებენ პროგრესისა და ცივილიზაციის მაღალ დონეს.

განცხადების ღასასრულს ბრაზილიის კულტურის მოღვაწენი აღნიშნავენ, რომ ყველგან, სადაც ისინი იყვნენ, ნახეს ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი. სიტყვა მშვიდობა გულში აქვს თვითეულ ადამიანს.

10 მაისს ბრაზილიის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა. აეროდრომზე სტუმრები გააცილეს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ მ. კვესელავამ, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა ა. მაჭავარიანმა, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების უცხოეთთან კავშირის განყოფილების გამგემ ი. კობახიძემ, საზოგადოებრივობის წარმომადგენლებმა. (საქდესი).

დანიაში აგებული გემის გადაცემა საბჭოთა კავშირისათვის

კოპენჰაგენი, 10 მაისი. (საკდესი). „ბერმეისტერ ოგ ვაინის“ გემსაშენში დამთავრდა გემის „რეფრიჟერატორ № 9“ მშენებლობა საბჭოთა კავშირისათვის. გუშინ გემსაშენში გაიმართა ალმის აფართვისა და ამ გემის საბჭოთა წარმომადგენლებისათვის გადაცემის ცერემონია. ცერემონიას დაესწრნენ სსრ კავშირის დესპანი დანიაში ი. გ. სისოევი, სავაჭრო წარმომადგენელი ი. ს. სტეპანოვი, მისიისა და სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლები, აგრეთვე ფირმის დირექციის წარმომადგენლები და მუშები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ გემის აგებაში.

ანა სტელა შიკის კონცერტი

ამ დღეებში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ცნობილი ბრაზილიელი პიანისტი ქალის ანა სტელა შიკის კონცერტი.

კონცერტის პირველ განყოფილებაში შესრულებულ იქნა სკარლატის სონატები, ბახ-ლისტის „პრელუდია და ფუგა“ ლა-მინორი, მენდელსონის „პრელუდია“.

განსაკუთრებული შთაგონებით შესრულა ანა სტელა შიკმა კონცერტის მეორე განყოფილებაში ბრაზილიელი კომპოზიტორების ვილა ლობასის, კამარგო გუარნიერის ნაწარმოებები.

გარდა ამისა, ანა სტელა შიკმა შესრულა კომპოზიტორ ა. მაჭავარიანის „ეტიუდი“.

ბრაზილიელი პიანისტის კონცერტმა თბილისში დიდი ინტერესი გამოიწვია.

სურათზე: ანა სტელა შიკის გამოსვლა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და შ. ჩხეტიანისა.

ოლღა დოლიძის შემოქმედებითი საღამო

16 მაისს საღამოს 8 საათზე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატის ოლგა დოლიძის შემოქმედების 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

მოხსენებას ოლგა დოლიძის სასცენო მოღვაწეობის შესახებ გააკეთებს მწერალი დ. ბენაშვილი.

მისალმებების შემდეგ მხატვრულ განყოფილებაში ოლგა დოლიძე შეასრულებს ახალი ჟანრის საესტრადო სანახაობას — „ახალი მისამართი“ (ავტორი ს. ფაშალიშვილი).

მოსე ჯანაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო საბჭოს სხდომა

10 მაისს საღამოს 8 საათზე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ს. ხუნდაძის სახელობის აუდიტორიაში შედგა ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოების გაერთიანებული სხდომა, მიძღვნილი მოსე ჯანაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა დოცენტმა თ. მრევლიშვილმა. წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებანი: მოსე ჯანაშვილის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა (პროფესორი ვ. თოფურია), მოსე ჯანაშვილი როგორც ლიტერატურათმცოდნე (პროფესორი კ. კეკელიძე), მოსე ჯანაშვილი როგორც ისტორიკოსი (დოცენტი კ. გრიგოლია). მოგონებებით გამოვიდნენ პროფესორები ნ. შანიძე, ა. ზურაბიშვილი და შ. ამირანაშვილი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდობის ფესტივალის დახურვა

17 აპრილიდან 8 მაისამდე გრძელდებოდა ახალგაზრდობის ფესტივალი მიძღვნილი კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, ყველა მშრომელთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი.

ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის პიონერები და მოსწავლეები, საწარმო-დაწესებულებათა ახალგაზრდა მუშები და მოსამსახურეები. მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო იყო ფესტივალის პროგრამა: მოეწყო მასობრივი ექსკურსიები ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში, აგრეთვე იმ ისტორიულ ადგილებში, რომლებთანაც დაკავშირებულია გენიალური ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობის — დიდი სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა.

26 კომისრის რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეთა და საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებამ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოავლინა. წარმატებით ჩაიარა მეგობრობის საღამოებმა, პიონერიულმა შეკრებებმა. რაიონის პიონერთა სახლში გაზსნილ იყო სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენა და სხვ.

სულ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 20 ათასზე მეტმა კაცმა. ფესტივალის დღეებში კომკავშირის რიგებში მიღებულ იქნა 400 ახალგაზრდა. განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფესტივალში 26 კომისრის რაიონის 77-ე,78-ე, 87-ე, 88-ე, 89-ე, 90-ე, 91-ე, 92-ე და 96-ე სკოლების, აგრეთვე ფეხსაცმლის ფაბრიკის, მარგარინის ქარხნისა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა ახალგაზრდობის კოლექტივებმა.

კვირას 8 მაისს 26 კომისრის რაიონის სტადიონზე საზეიმო ვითარებაში დაიხურა ფესტივალი, რომლის მონაწილეებსაც სიტყვით მიმართა კომკავშირის რაიკომის მდივანმა ამხ. ბ. კუხიანიძემ.

ფესტივალის დახურვის შემდეგ მოეწყო ამხანაგური შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

საკავშირო ჩემპიონატის ზონალური ტურნირი ჭადრაკში

თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გრძელდება სსრ კავშირის XXIII პირველობის ზონალური შეჯიბრება ჭადრაკში აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და მოლდავეთის მოჭადრაკეთა მონაწილეობით.

მესამე ტური

9 მაისი. ა. ებრალიძისა და ე. თათეოსიანის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ბ. გურგენიძემ ძლიერად ჩაატარა პარტია ვ. გოლდინთან და მეორე გამარჯვება მოიპოვა. ე. სარდაროვმა, მოუგო ლ. კალაშიანს. ვ. ტარასოვი და ლ. ლისტენგარტენი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეოთხე ტური

10 მაისი. ამ დღეს დამთავრდა მხოლოდ ორი პარტია. ვ. ტარასოვმა მოუგო ე. თათეოსიანს. საერთაშორისო ოსტატის ვ. გოგლიძისა და ოსტატობის კანდიდატის ბ. გურგენიძის პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

4 ტურის შემდეგ ლიდერია ბ. გურგენიძე, რომელსაც 3 ქულა აქვს.

რედაქტორი ნ. ჯაში.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — „ტრუბადური“, რუსთაველის სახელობის — ნ. ბარათაშვილი, მარჯანიშვილის სახელობის — მარიამ სტიუარტი (ახალი სპექტაკლი), გრიბოედოვის სახელობის — პორტპარტელი, სომხური დრამის — ალასი, მუსიკალური კომედიის — ბერიკოლა, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ბაში-აჩუკი (აბონემენტი № 20, 10 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — თალგამი (10 ს. 30 წ. და 3 ს. 30 წ., ძერჟინსკის სახელობის კლუბში).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, „ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — მოცეკვავე მეკობრე, კომკავშირელი, კოლხიდა (საზამთრო) — ანტუანი და ანტუანეტა, დიდუბე, კომუნარების ბაღი — ვეფხვების მომთვინიერებელი, კოლხიდა (საზაფხულო) — თეთრი ფაფარი და არგენტინიდან მექსიკამდე, თბილისი — იმედი და ქალიშვილი ცირკში, დიდუბე (საზაფხულო) — ცივი ზღვა, კოლმეურნე ავარა (I და II სერია), კიროვის სახელობის პარკი — ჯამბაზები, ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობას კლუბი — რომეო და ჯულიეტა, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ჯაშუშების ქსელი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — საყვარელი მეგობარი.

დისერგაციის დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი

1955 წლის 20 მაისს დღის 2 საათზე (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში, ძერჟინსკის 8) სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს **ტიმოფეევა ტატიანა ვასილის ასული** თემაზე „Оранжерейный трипс — Heliothrips naemorrhoidalis Bouche в субтропической зоне западной Грузии“.

შრომის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის ქუჩა № 35.

დედა ოლღა ოჯახით და ნათესავებით იუწყება

გოგი დავითის-ძე კაკაბაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-V, 6 ს. გაგრაში, გამოსვენება გეგეჭკორის შესახვევი № 1.

მშობლები პილასი, სამსონ ოჯახით იუწყებიან

ნოდარ (ბახვა) სამსონის-ძე ნეფარიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-V სოფ. სხვავში (ამბროლაურის რაიონი).

მეუღლე გრიგოლ ოჯახით იუწყება

მარიამ ნიკოლოზის ასულ სესიაშვილი-მიროტაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 12-V, 6 ს. ბესიკის ქ. № 39.

შვილები ნინო, აკაკი, ნიკოლოზ, ქეთევან ოჯახებით იუწყებიან

მარიამ ლუკას ასულ ვარაზაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-V სოფ. მუხლში (ამბროლაურის რაიონი).

შვილი დალი ნათესავებით იუწყება

გოგუცა ფარნას ასულ გეგენავა-ქაჯაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-V, 8 ს. გამოსვენება 15-V, 2 ს. ა. წერეთლის ქ. № 3/5.

მეუღლე ბაცია, შვილები ელიკო, ნონა, სოსო, გივი, სიმონ, შალვა, ლალი ოჯახებით იუწყებიან

ისიდორე იოსების-ძე თათიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-V, 7 ს. გამოსვენება 15-V, 5 ს. რაზმაძის ქ. № 33.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მალარიისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ინჟინერ

ილია მალაქიას-ძე მარუაშვილის

გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა—3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამოშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

УЭ 00397 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.